ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 446

“ 23 ” სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ. 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ. 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ. ფართობის, №01.10.06.002.064 და №01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ. №01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან- შპს „ბლოქსი თავდადებულზე“- ს ს/ნ. 405626997) ნაწილობრივ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 ავგისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ. 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ. 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ. ფართობის, №01.10.06.002.064 და №01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ. №01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან - შპს „ბლოქსი თავდადებულზე“- ს ს/ნ. 405626997) ნაწილობრივ გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 სექტემბრის №25.1553.1765 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ენსი გრუპს“ (ს/კ. 405186365) (დღეის მდგომარეობით: შპს „ბლოქსი თავდადებულზე“ - ს/ნ. 405626997) შორის 2021 წლის 15 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ არსებული 8 118 კვ.მ ფართობის, №01.10.06.002.064 და №01.10.06.002.065 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების (წინა საკადასტრო კოდი: ს/კ. №01.10.06.002.046) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ხელშეკრულების 3.6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.2 ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ნაწილისგან 676 500 (ექვსას სამოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, შპს „ბლოქსი თავდადებულზე“-ს (ს/ნ. 405626997) გათავისუფლების საკითხზე, იმ პირობით, რომ შპს „ბლოქსი თავდადებულზე“-ს (ს/ნ. 405626997) მიერ განხორციელდება, 264 000 (ორას სამოცდაოთხი ათასი) ლარის გადახდა არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**